

# თავაღის ლოცვა

თბილისის კინტოფური ქეიფი

და

გზითების სია.



გამოცემული დ. ა. კაზაროვის-მიერ.

თბილისი

სტამბული გ. 8. სოკრინიანგია, № 89.

1917.

# ତାମାରୁ

ମୃଦୁରାଜ

ପ୍ରକାଶକ ପରିବାର

ପ୍ରକାଶକ

ମହିତାଲୀ ସନ୍ଦା.

ପାଠ୍ୟପାଠ୍ୟଲୋ

ଡ. ଏ. କୁଞ୍ଚିତନାୟକ-ମିଶ୍ର.



ତାମାରୁ  
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ  
ପ୍ରକାଶକ ପରିବାର  
ନାମିନିବାନିନ୍ଦ୍ରିୟମେ ନଂ ୩୯.  
୧୯୧୭

## თა მაღის ლოცვება

**მ**ერთო, შენა სწყალობდე  
 აქ მირძანებელ ყველასა,  
 გაჭირებულს მშრალობდე,  
 არ აკლგმდე შეელასა.  
 შეაწი დეთის მადლი,  
 დლევანდელის დლის მადლი,  
 შემოსილი მღედლის მადლი  
 უცოცხლე სახლში მყოფი.  
 შინ აური, გარეული,  
 მელეონე და მზარეული,

კ მ რ ა.

მისი შეშუურებელი ყველა,  
 გაგიმარჯოს თქეენა,  
 ეს ჩარექა მენა,  
 ალავერდი შენა,  
 დაილოცოს ეს სახლი:  
 საძირკველი და ჭერი,  
 ფილაქანი და სხენი;  
 ფიტრული და კირული,  
 საილენძი და ჩინური;

გეჭა და თაფლი,  
 ცომი და ვარული;  
 გუთანი და კეერი,  
 ქოცო და ქვეერი;  
 თაბახი და ქილა.  
 ჯამი და ჯამუილა;  
 კოშკი და ოთახი,  
 შენობა და ოჯახი;  
 საბძელი და მარანი,  
 სანთელი და ფარანი;  
 სუფრა და მარილი,  
 პური და მწეანილი;  
 ბაღი და ბაღჩა,  
 თარო და თახია;  
 ყანწი და ჯიხეი,  
 ქათამი და იხეი;  
 ნაეი და ლასტი,  
 ფილი და აეანგდასტა;  
 ტუპკირი და ხაპირი,  
 ჩამჩა და ქაფუირი;  
 ეირი და ჯორი,  
 ცხეარი და ლორი;  
 წისქეილი და კალო,  
 მარგილა და პალო;  
 ფიჩი და შეშა,  
 კულა და აზარტეშა;  
 კამეჩი და სარი,

ქეაბი და შედალგარი;  
 ქოთანი და ღო,  
 ფური და ხბო;  
 მიწა და ქვა;  
 თესვა და ხენა;  
 მინდორი და ეელი,  
 ნამგალი და ცული;  
 კოფო და ლართხი,  
 იონჯა და ხეართქლი;  
 ბასტანი და ნესვი,  
 ჩიბუხი და კევსი.

ღმერთს დიდება, თქეენ მშეიღობა ღმერთმა გა-  
 ცოცხლოთ, გადლეგრძელოთ, თქეენი თავი გვიცოც  
 ხლოს, უსტაბაში შეგეწიოთ, ასაჰყალო გწლალობ-  
 დეთ, მამასახლისი, მოხელები, გზირი, ნაცვალი,  
 გუთნის-დედა, შეხრე შეარხე იყოს თქეენი შემწე.

შეგეწიოთ: ყველა წმინდა, ნინო, წმინდა ველის-  
 ციხე, ტურის-ციხე, ბაკურ ციხე, ორთა-ჭალა, დრის-  
 ჭალა, სართი-ჭალა, შავი-ტყე, ჭიან-ტყე, დაკმულ-  
 ტყეი, ვარდის უბანი, არტაშ-უბანი, ძალლის-უბანი,

ალმატი, დაღმატი, ხახმატი

ხობოტა, ლოპორტა ჭოპარტა

შეგეწიოთ: კოჭა-კოლაკი ცლუკაანი, ღაზნაარი, მაშ-  
 ნაარი, ტიბაანი, პრასიანი, ჭინჭრიანი, შაშიანი, ეაჩნა-  
 ძიანი, მელაანი.

შეგეწიოთ: ტოტლოვიანთ დაღო, ციციკოვი-  
ანთ ნიკო, ბამბაკიანთ პეტო, მაჰუდიანთ სტეპუ-  
რითუმიანთ დარჩი. კანკოვიანთ მიხო ჭუტლაანთ ზა-  
ქარია, ყოყიანთ თევდორე, ჯავიენთ ეანქა, ტროვა-  
ანთ იორდანე, ჯიჯიანთ გოგრა-ჭიმია, დანარჩენი,  
რომელიც კაი მეგობრები გეგულებათ.

აღმა დაღმა,  
წაღმა-უკუღმა,  
ზეით-ქეეით,  
ოლრო ჩოლრო,  
გარდა-გარდმო,  
წინ-და უკან სუსეელანი  
იყვნენ თქვენი შემწენი.

ღმერთმა იმდენს ხანს გაციცლოთ, საწამ კუი  
კურდლელს მიეწეოდეს, კაპუეტი კასალასა ვირი  
ჯამბაზობდეს, დათეი ხაბაზობდეს, აქლემი დალაქობ-  
დეს, ჯორი ნალგანდობდეს, ცხენი ხარაზობდეს, ფუ-  
რი ხარატობდეს, ბატი სამართლობდეს, ინდაური ად-  
ეოყატობდეს, პეპელა ტოლმასა სქამდეს, მელი გუთ-  
ნითა ჰენაედეს, კატა ჰესასობდეს, ძაღლი დაბალობ-  
დეს, მელია დიაკენობდეს, თაგეი გაიკრიჭებადეს ხა-  
ლიჩა დაიწენებოდეს, ზედ დაიჯდომებოდეს, წისქეო-  
ლი ფქვეადეს, გუთანი ჰენაედეს, ჭანჭეელა ხმალს  
შემოიკრაედეს და გერმანიაზე საომრად მიუიოდეს.

შეგეწიოთ: ხეეის ბერი ახტალელი თათარი  
წოვა თუში, ერწოს ქასტი, კაპუტელი ლეკი, ხიტრი-

ზოს დიდი და ბაჭრომელი ფშაველი, ცხინვალელი  
ურია, კურდლელაური დედაკაც.

ლმერთმა მოგცეთ: გული მხიარული, ხელში  
ჭიანური, ჯიბეში ფული, ბელელში პური,

ლმერთმა გამოგიყვანოთ, თვალადი, ტანადი, პუ-  
რადი, გულადი.

ლმერთმა სახლი აგიესოთ შეილითა, საბძელი  
შეილი-შეილითა, თქენი მტერი დამარცხოს ეწი-  
დებოდნენ ვირითა.

ტ—ა. ს.

### რა მასმევს ღვინოს.

**ღ**ილი და პატარა ჩამომყიდვებიან: კაცო, რა  
ლმერთი გიწყრება, მუცელში რა გნია  
მოგვიდებია, რომ ყოველ დღე მაგოდენა ღვინოს  
სცეცხლავ!.. ლოთობისაგან დაბეჭილხარ პარა-ჭან-  
ჭურისაეით და მავალი ეაშლისაეით დაგლურჯებია  
ცხეირ-პირი, მაგრამ მაინც ეერ იქნა, კუჭი პირი ეერ  
შეაკერევინე, წყურეილი ეერ მოიკალ. რა გასმევს  
მაგდენს? სტომაქში გაუმაძლარი სეაეი ჩაგჯლომია,  
თუ რა ღვთის წყრომა დაგმართებიაო! რა მასმევს  
ღვინოს? რა და შუშა კიტრი თაეის კომბოსტოს  
ფოთოლში გახევეულ მოთლით სეელი, წანწკარშეუ-  
რილი ხელადა, დუდუკის ტკბილი კვნესა-ტირილი:  
„ლოთებო, ნეტავი ჩვენა“, ჩასპანდ კულა-ყანწის  
„კლ-კლ-კლ“ მასმევს, რა ეიცი კიდევ.

რა მასმევს ღვინოს? შენ ისა სოქვი, რა მიშ-

ლის, თორემ სმით რა არ მასმეეს! რა-და ძმა-ბიჭო-  
ბა, გენაცვა სულის კლიტეში, შენი ლოთი-ფოთო-  
ბა. ქრისტიანობა, ქვეყნის ოჯული და ადათი, ჭირი-  
და ლხინი, მტერი და მოყვარე... ეინ მოსთელის?

რა მასმეეს ლეინოს? ეშმაკი და ქაჯი, რა ეიცი....  
რა მასმეეს და ცაკანას ჭიჭინა თევზები, მელქუას  
ჭიჭი-პიუებიანი ხაში, შამაის ალათ-მალათი, შიშხინა-  
და მცერიანი ღორის მწვალი, ციფად მოხარშული დე-  
დალი, გულში რომ ყეითლად დაუნაჭუჭებული  
კვერცხი გამოსხირია, წითლად დაბრაწული ინდაურის  
ფრთა-ბარეალი, ძალშედ გაწითლებული ბურეაკის-  
ნეკნები, მარილში დახალული ფსტა-ნუში... სად მას-  
სოეს!...

რა მასმეეს ლეინოს? ერთმანეთში საყდარლებსა-  
ვით ჩახეულ ჩახუტებული ეაზის რქაფოთოლი, პა-  
ტარძლის ხელით დაკრეფილი და კოხტა ეირით მო-  
ტანილი პრასა ნიახური; ალდგომის კვერცხსაეით  
ჭია-ფერში ამოვლებული ბოლოკი, თალიში ხახეი,  
ჩბილებში რომ კნაწი-კნუწი გააქეს, ჩაბუქბუქებული  
და ძმა, გამჯდარი მუქუფი, შენ დათვალე!

რა მასმეეს ლეინოს? ჩემის ტოლ-ამხანავის, ჩემ-  
საეით ბეჭანა ღოთის სიყმე-მცედარ, ყარაჩოხალის  
„გამარჯობა, გაგიმარჯოს“ „ალაერდი-იახშიოლი“  
მასმეეს, რა უნდა მასმეედეს! დუდუკის ტკბილს ეშ-  
ხედ ატეხილი ეშხი მასმეეს. აბა ერთი თათარიახ-  
ნად ორი ჩარექა ლეინო გადაჭარ მერე თართაჭალა-

ში კუპრიას დუღუკი ააზუზუნებინე და გაიგებ, რაც  
მასმეც, ყური დაუგდე. კუპრია რომ დუღუკს ჩაუ-  
შაქრებს და ჩაუტკბილებს, ჩააკავან-ჩაარაკრაკებს, ას-  
წევს, აიტანს, ჰაერში წავა და შენც თან წაგიყვანს  
და მაშინ შეიტყობ რაც მასმეც. გული ჭიანურსაეით  
კენესას რომ დაგიწყებს და ზურნის ეშხიანი ჰანგი  
გეერდებში რომ გავიჯდება, სული ჭაა, საცაა ყანყრა-  
ტოში იმოგიეა, ფიალა გიჭირავს და გონებით ვარსკვ-  
ლაებში ჰურინავ, არც სხვა გაბსოვს, არც შენი თა-  
ვი, გარშემო ღრუბლები გახევერა, გული ლამის ისე  
ამოგიფრინდეს საგულედვან. როგორც მელქუას ბა-  
ლილგან ჭაჭურა ამოფართხალდეს ხოლმე, ის მას-  
მეცს, ის...

რა მასმეც? უზმოჭედ რასა მკითხავ, როცა  
ღვიძლ-ჯიგარშედ ობი მომკიდებია. მაშინ მნახე, სა-  
კინძ ჩამიწყევეტილი და გულგადალელილი მტკურის  
პირას რომ ეიჯდე, ფოთლებში ვაშლილ მწვანე  
სუფრას მთვარე დაჭაშვაშებდეს, თითო ხელადაზედ  
თორმეტი წყვილი სანთელი ლაპლაპობდეს და ზედ ან-  
გელოზები დამტრიალებდენ, ორივე ყური დუღუ-  
კი ჩამკენესოდეს ცალ ფეხზედ ჩუსტი არ მეცვას,  
შუბლს გაცივებული კიტრის ნაფუძევენები მიგრია-  
ლებდეს და ჩარეჭა მოუღებული მეჭიროს აბა მა-  
შინ მნახე და აღარა მკითხავ რა მასმეც!

სახელითა მამისათა და სულისა წმინდისათა ამინ!

ეძლევ მზითვათ ჩემ ნანის-ნანატრ ქალს თმაროს  
რაც სულს იქით მაბაღია ყველას.

## მზითვის სის

ერთი კაშოზი, თავის ტუალეტის სარკით.  
ერთი შეაფი.

ერთი ფეხმოტეხილი კუშეტკა.  
სამი ტბურეტკა.

ერთი პურის კიდობანი.

ერთი ნახშირის იაშიე.

ერთ ვარცლს თავის ასტამით.

ერთ წვანილის ტაბაკა.

ერთ სარეცხის თაბახა.

ორ შამფურს თონიდამ პერის ამოსაყრელს.

ერთ ციცქეს ლობიოს ასარევათ.

ნახევარ დუჭინს, შივშატის კოვზს კარგი ფაბრიკისას.

ერთ ნიერის ფილს, თავის ფილთაქეით.

ჰაეანგდასტა თავის საჩახუნებლიით.

ერთს მდიეანოეის ქართულ კალენდარი.

ერთ ცეცხლისთვის მაშას.

ერთს კუხნის სტოლს თავის უჯრით.

ერთ თიხის ქვაბს ლობითსთვის.

ერთ ზედადგარს.

ნევთის ჭურჭელს.

ერთს ნაპერა გირეანქა ჩულქის ნიტყას (ძაფა). .

პატარძლის პირის გამოსაქნელად.

დაბასმული ჩიქილა, ჩილინგაროვისა.

ჩიხტა, კოპი,

კოპის ლენტა.

კავები გამუცული, დალალები.

ერთი წყეილი წითელი ჩულქები.

ერთი წყეილი ჩუსტი წითელი, საფხატუნებელი.

ერთი გირეანქა შაბი, გუნდა-ლახოსტაკი.

პატარძლის ომების შესაღებავათ, დასაბასმებლად.

ორ აბაშიან ჩალეს საპონს, ყვითელს.

ერთ წყვილ თავის შახეს, ერთს დიდს სარდაფის-  
თვის, მეორე პატარა ოთახისთვის.

ორი გასამთლილი შიბაქი: ერთი ვაჭისა, მეორე ქა-  
ლისა.

ხარატის გაკეთებული აკერნი, თავის თასმებით.

აკენის ბანკა ჯოხებით გამართული, თავის ფალა-  
ფულასებით.

ხინაბანდი უკუსაკრავი.

ოთხაბაშიანი მუზიკა, ვარანცოეის ფაბრიკისა.

დანაყილი ნახშირი და გატაილი, პატარძლის კბი-  
ლებისთვის გასახეხათ.

დანაყილი მელი ფანჯრებისთვის.

ხარაზის შეკერილი ბათინკები ზაკაზნოი.

ერთი ყველელი ცოცხი ქუთაისისა.

უმარილი და ფერი თავის სალესავით.  
ჩირქი.

ერთი ასხმა პანტის ჩირი, თუ მეფე მუცელში გაიხ-  
სნას უებარი წამალია.

ერთი კონა ლოლო.

ერთი პარკი ჩურჩა შეჭამანდისთვის.

ორ აბაზიანი სარკე ყვითელი ხისა.

ტოლალები სიძისთვის.

ერთი უუთი ქინძისთავი.

ერთი ტერნოს კაბა თავის ტისონკებით.

ერთი პოლის ჩოტკი.

ორი პარშიანი შემდევი.

ერთი შაკრატელი,

ერთი კოჭის ძაფი.

ერთი მატყულის საჩეჩელი.

თითისტარი ძაფის დასართავათ.

ჯირა, ძაფის დასართავათ

ფუთა აბანოსთვის,

ერთი აბანოს ლიფა.

აბანოს ფეხის ავური.

ქისა.

ერთი ტუჩმოტეხილი გრაფინკა.

ჩითის თავშალი.

ხრიკები.

ორ აბაზიანი პირსახოცი.

კუხნის ტილოები.

ლობიოს ქოთანი.

ფურნის ტაფა.

ერთი წითელი სკივრი.

ხალიჩის დასაბერტყი კეტები.

ორი მუთაქა მატულით გატენილი.

ერთი კეერცხის მდებელი დედალი ქათამი.

ერთი ჩხავანა კატა.

ერთი ქოფაკი ძაღლი, ისეთი რომ ქურდს კუდს უქ-  
ნევდეს და პატრონს ჰყეფავდეს.

ერთი ქობინა.

ერთი ფლავის საწურავი.

სუზანი.

ქეჩა.

დედამთილისთვის ჩუქუფათ ორი გრაკლის ჯოხი.

ვინცობა ჩაძალი გაჯავრდეს კარგათ სტყიბოს.

მამამთილისთვის ბურნუთის კოლოფი შაპის სურა-  
თით და ერთი პაჩაც თევზიანი ბურნუთი.

პატარძალი არის ნასწავლი, ისეთი რომ სწერს  
კი და თავის ნაწერს ეეღარ კითხულობს. კურსიკა  
აქცის დასრულებული ორ ალაგას, ვარდის უბანში  
ბუზიჭამიანთ პანიონში და გორში დიაკვან კაჭა-  
ლასთან. მეჯვარეთ მისდევს არმიანსკი ბაზრის ტეხშე  
მოვაჭრე ანთარან ჯივან ქორილლი.

ჩ ე მ ი თ ხ ი ვ ნ ა

(მუსაშვილი)

**ს** იცოცხლისა სიხარულის თვალები,  
კავ-წარბები, წამწამები შავები,  
ნაწილები, ლოყებზედან ხალები,—

ეს მიპოვეთ, დაიარეთ ქალები!

უელი თეთრი, როგორც რომ მარმარილო  
ცხეირი, ტუჩი, არ ჰქონდეს უმარილო,  
კბილთ სითეთრით დამბნედავი ალები,—

ეს მიპოვეთ, დაიარეთ ქალები!

ფუნჩულა და პაწაწინა ხელები,  
წელ-წერწეტი, კევიანური აზრები,  
ანგელოზებრ მშეიღი ხასიერები,—

ეს მიპოვეთ, დაიარეთ ქალები!

ფეხ-პატარა, ბულვისევით ფუნჩულა,  
ფეხ-საცმელიც იაგუნდისა სულა,  
წინ კაბაზედ ბრილიანტისა ლილები,—

ეს მიპოვეთ, დაიარეთ ქალები!

მიხერა-მოხერა ახალ-ახალ მოდისა,  
გული, მკლავი, უთეთრეს ქალალდისა,  
ჰქონდეს ქალაქს დიდროვანი სახლები,—

ეს მიპოვეთ, დაიარეთ ქალები!

ოთახები ეეროპულად დართული,  
შიგ ბუხრები, მოღულუნე ქართული,

სპალნაშიაც მარმარილოს ეანები,—

ეს მიპოვეთ, დაიარეთ ქალები!

მებელს ჰქონდეს სულ დიმა გადაკრული,  
კარებები იმითივე დართული  
და ფანჯრებსა ზანაევსკა მერალები,—

ეს მიპოვეთ, დაიარეთ ქალები!

ცხენებიც კი არლოვესკის ზაფოლისა,  
შეიძალეთ ზაგრანიცის მოდისა,  
ეგებ მიუყე უველა ჩემი ვალები,—

ეს მიპოვეთ, დაიარეთ ქალები!

არა სთხოვდეს არაეისა არაფერს,

იყოს სჯაში დიდებისა შესაფერს  
უუთში ჰქონდეს გაჭედილი უულები,—

ეს მიპოვეთ, დაიარეთ ქალები!

იმ წამს ეითხოვ შესართავიდ იმასა,  
დავპატივებ მეგობრებსა უეელასა,  
თუ უარ ეყო, მე დამიღვეს თვალები!..

## თხოვნის პასუხი

(მუხამადი)

**მ**

ენ თხოვნაზე მეცინება ძალიან,  
ვერც ვასრულებ, რადგან არა შეცალიან.

შენ გულსა აქვს ურიცხეი სურეილები,  
საღ მოეძებნოთ ეგრე შემკობილები?..  
უნდა ჰქონდეთ მათ დანაშაულები,



რომ შენ შეგროვოთ უბედური შეიღები.

შენ მოძებნე, მე კი არ მცალიან,  
შენს თხოვნაზე მეცინება ძალიან!

წელ-წერწერას, მონაჩნარეთ მხრეველსა,  
დიდ კრებაში პირველ შესამჩნევალსა,  
მშეენიერსა, სურნელების მფრქვეველსა,  
კეკლუცობით ჭყუის დამაბნეველსა.

შენ ეინ მოგცემს, შენთვის ეისა სცალიან?  
შენ თხოვნაზე მეცინება ძალიან!

შენ ბრულიანტი თეალებსაც აგიჭრელებს,  
ლამაზის ჭერეტას მით დაკიგეიანებს;  
თეალ-აბურეით უკუღმა გატრიალებს,  
ბეერი ფული თეით შენვე გაზიანებს.

ეტ ეიპოენი, ამას ეწუხეარ ძალიან,  
შენ მოძებნე, მე კი არა მცალიან!

მიხერა რომ მოდაზე შეიცვალოს,  
ეაჲ, თუ გულიც მალე გამოგაცვალოს,  
თეის სიმღიდრე შემდევ სხეას ანაცეალოს  
მაც გულიდამ გრძნობაც გამოგაცალოს.

შენ მოძებნე, მე კი არა მცალიან,  
შენ თხოვნაზე მეცინება ძალიან!

ნეტა რად გსურს მარმარილოს ეანები!  
თუ დაგცება—მტკვარშიაც ებანები,  
შენ მოძებნე საქართველოს ქალები,  
სხეა თუ შეგხედა, დაგიღება თეალები.

შენ მოძებნე, მე კი არა მცალიან,  
შენ თხოვნაზე მეცინება ძალიან!..

NK 97

